დანართი 1

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის
2022 წლის 11/11 №02/54 ბრძანებით

სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი” სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს და ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

1.1. აპლიკანტს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ,,ცენტრი“) მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარების და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათლება.
1.2. კოლეჯის საბაზო/საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით.
1.3. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის იმ სასწავლო გეგმით, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (შემდგომში - საშუალო პროფესიული პროგრამა) აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით/წინამდებარე წესითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის #42/ნ ბრძანების მე-8 მუხლში მითითებული ნორმების დაცვით.
1.4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის #42/ნ ბრძანების ნორმების დაცვით.
1.5. ტესტირებაში მონაწილეობს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი.
1.6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომში - რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებული პროგრამა) აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის #42/ნ ბრძანების შესაბამისად.
1.7. კოლეჯის დირექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის #42/ნ ბრძანების 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრავს დაწესებულებაში ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს.
1.8. სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ წესში დეტალურად რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის #42/ნ ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 2. დაწესებულებაში ჩარიცხვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

2.1. კოლეჯის დირექტორი პროფესიული ტესტირების დაწყებამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს.

2.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.2.1. პირადი (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

2.2.2.პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.2.3. აპლიკანტის არასრულწლოვნების შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.2.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად საბაზო ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანის დამოწმებული ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედნის დამოწმებულიასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო (სრული) ზოგადი განათლების მიღების გარეშე.

2.2.5. რეგისტრაციის შემდეგ სსსმ აპლიკანტი ვალდებულია კოლეჯს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

2.2.5.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სსსმ აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებულს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;

2.2.5.2. სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:

2.2.5.3. აუდიოგრამა (სმენის დარღვევისას);

2.2.5.4. ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევისას);

2.2.5.5. შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;

2.2.5.6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.2.6. უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე პირის (აპლიკანტმა) მიერ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ამ მუხლის 2.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა წარდგენილი უნდა იქნას უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ (დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი)

2.2.7. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს შესაბამის პროგრამაზე პირის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა

3.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსისშეჩერების საფუძველია:

3.1.1. ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა;

3.1.2. ორსულობა, მშობიარობა;

3.1.3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

3.1.4. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა - სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

3.1.5. სამხედრო სამსახურში გაწვევა;

3.1.6. პირადი განცხადება მიზეზის მითითებით;

3.1.7. სხვა არსებითი გარემოება

3.2.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

3.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.

3.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პირი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან, რა ეტაპზედაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

3.5. პროფესიულმა სტუდენტმა/კანონიერმა წარმომადგენელმა სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით (მიზეზის მითითებით) უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს, მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს

პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი.

3.6. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

3.7. პირისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

4.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

4.1.1. სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება სტუდენტის სტატუსისშეწყვეტის შესახებ;

4.1.2. პროგრამის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება

4.1.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი 5 წლიანი ვადის გასვლა;

4.1.4. იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძვლად დაედოსტუდენტის სტატუსის მოპოვებას;

4.1.5. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა;

4.1.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უხეში დარღვევა, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების არასაპატიო მიზეზით 30 პროცენტზე მეტის გაცდენა და/ან აკადემიური ჩამორჩენილობა, რაც შესაძლოა გახდეს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

4.1.7. გარდაცვალება;

4.1.8. სწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაგრძელება;

4.1.9. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის-სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოყენება;

4.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე (გარდა 4.1.9. პუნქტით გათვალისწინებულ საფუძვლისა), რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.

4.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისგან, რომელიც მას წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემამდე. იგი ვალდებულია დაფაროს დავალიანება.

4.5. ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 5. მობილობა

5.1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების დანართი 1-ის -„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

5.2. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

5.3. სტუდენტთა მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.

5.4. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

5.5. კოლეჯის დირექტორის მოადგილე დირექტორს წარუდგენს წინადადებას მობილობით სტუდენტების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრაზე, იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია სტუდენტთა მიღება. სტუდენტების მიღებისათვის თავისუფალი ადგილების რაოდენობა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

5.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

5.7. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

5.8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

5.9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია პირადი განცხადება მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი. დაწესებულება უფლებამოსილია წესდებით განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების სხვა საფუძველიც.

5.10. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

5.11. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

5.12. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან დაწესებულების წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას.

5.13. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.14. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში – სისტემა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

5.15. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის 5.16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

5.16. პროფესიული სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაწესებულებამ დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.

5.17. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე დაწესებულებაში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია ამ წესის 5.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

5.18. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5

წლის განმავლობაში.

5.19. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.

5.20. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს მიმღებ დაწესებულებას, ხოლო შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს იმავე დაწესებულებას. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა. მიმღები დაწესებულება უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

5.21. მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორმა შესაძლებელია შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

5.22. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

5.22.1. დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

5.22.2.დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

5.22.3.მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.23. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

5.24. პროფესიული სტუდენტის მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით “პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“.

5.25. კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

5.25.1. სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და კოლეჯს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;

5.25.2. გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

5.25.3. კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5.26. დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.27. აღიარება ფორმდება დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში–იმავე დაწესებულების სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგებიდა კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

5.28. დაწესებულება, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში. სისტემის მონაცემების საფუძველზე ის დაწესებულება, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა

მობილობის შემთხვევაში ის დაწესებულება, რომლის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზეც გადადის პროფესიულ ისტუდენტი, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში.

მუხლი. 6. მსმენელთა სტატუსის მოპოვება/შეწყვეტა

6.1. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2. კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტები მოიპოვებენ პროფესიული მომზადება/გადაზამდების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსს.

6.3. ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინოს ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია.

6.4. მსმენელთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი უფლემოსილია ხუთი სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს თავისუფალი ადგილების შევსება იმ აპლიკანტებით, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ სიაში.

6.5. თავისუფალი ადგილების შევსებისას კოლეჯი ითვალისწინებს აპლიკანტთა მიერ კონკურსში მიღებულშედეგებს.

6.6. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

6.6.1. მსმენელის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

6.6.2. პროგრამის დასრულება;

6.6.3. იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძვლად დაედო მსმენელის სტატუსის მოპოვებას;

6.6.4. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა;

6.6.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;

6.6.6. გარდაცვალება;

6.7. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე (გარდა „6.6.1.“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა) რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.

6.8. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა მსმენელს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისგან, რომელიც მას წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემამდე. იგი ვალდებულია დაფაროს დავალიანება.

6.9. ფინანსური დავალიანების დაფარვისთვის თავის არიდების შემთხვევაში კოლეჯიუფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 7. მიღებული განათლების აღიარება

7.1. ფორმალური განათლების ფარგლებში, აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. მიღებული განათლების აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს წინმსწრები ფორმალური განათლების აღიარების გზით, რაც გამოიხატება მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით და შესაბამისი კრედიტების მინიჭებით.

7.3. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებას კოლეჯი ახორციელებს შემდეგ შემთხვევაში:

7.3.1. პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარე მობილობის შემთხვევაში;

7.3.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში;

7.4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისას შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შეიძლება დადგინდეს ერთი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, მათი ფორმულირების მიუხედავად.

7.5. პროფესიული სტუდენტის მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასა და შეაბამისი კრედიტების მინიჭების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით იქმნება აღიარების კომისია.

5.6. კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების აღიარების და შესაბამისი კრედიტების მინიჭებასთან დაკავშრებით ფორმდება კომისიის ოქმით, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

5.7. პროგრამის კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილ პროგრამასა და კოლეჯის პროგრამას შორის არსებული შესაბამისობა თუ შეუსაბამობა.

5.8. პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების აღიარების და შესაბამისი კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.

5.9. არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით

5.10. არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტში ან/და მოდულში განსაზღვრული სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასებისა და დადასტურების გზით.

5.11. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით, საჭიროების შემთხვევაში რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი

8.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისთვის აუცილებელი ღონისძიების გატარებას.

8.2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ–ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

8.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია:

8.3.1. შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე მიმართულების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

8.3.2. ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს.

მუხლი 9. სწავლის ხანგრძლივობა

9.1. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგძლივობით.

9.2. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.

9.3. მსმენელთა სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობით.

9.4. სწავლის პერიოდი შესაძლებელია გახანგრძლივდეს, თუ:

9.4.1. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა;

9.3.1. ადგილი აქვს სხვა ობიექტურ გარემოებას.

მუხლი 10. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი

10.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

10.2. მოდულში „პრაქტიკული პროექტი“ პროფესიული სტუდენტი ფასდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ, რომლის ერთ-ერთ წევრად შეიძლება განისაზღვროს დამსაქმებელი.

10.3. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

10.4 განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულათა სისტემის, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმავითარებელი შეფასება ატარებს სისტემატიურ ხასიათს, რომლის ინტენსივობას, კონკრეტული მოდულის ფარგლებში, არეგულირებს მასწავლებელი სტუდენტების შედეგების მიღწევის გაუმჯობესებისა და მათი შემდგომი განვითარებისთვის. განმავითარებელი შეფასება აუცილებლად სრულდება ჯგუფისთვის/სტუდენტისთვის ზეპირი ან/და წერილობითი უკუკავშირის მიწოდებით.

10.5 განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

10.5.1 სწავლის შედეგი დადასტურდა;

10.5.2 სწავლის შედეგი არ დადასტურდა.

10.6 შეფასების მიმართულებები და შეფასების მეთოდები მოცემულია კონკრეტულ მოდულში.

10.7 განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა ერთჯერადად დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა დაუდასტურებელი მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დამატებითი შეფასების შედეგად სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

10.8 მილევად რეჟიმში განხორციელებადი პროგრამების შემთხვევაში, განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობისას, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს პირობითად ეძლევა სწავლის გაგრძელების და ერთჯერადად დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა დაუდასტურებელი მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დამატებითი შეფასების შედეგად სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

10.9 განმსაზღვრელი შეფასებისას, სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა არ არის შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობა, სტუდენტს ეძლევა სწავლის გაგრძელების და ერთჯერადად დამატებით შეფასებაზე ალტერნატიული გასვლის შესაძლებლობა:

10.10 დაუდასტურებელი მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დამატებითი შეფასების შედეგად სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

10.11 პროგრამის დასრულებამდე 10 კალენდარული დღით ადრე, ხოლო ამ ვადაშიც სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

10.12 დამატებითი შეფასების დროს, განსაკუთრებულ გარემოებათა გამო საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და მოითხოვოს განმეორებითი სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

10.13 შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.

10.14. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება.

10.15. დუალური პროგრამის შემთხვევაში, კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს საწარმოში, აწარმოებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევით ადასტურებს შუალედური/საკვალიფიკაციო გამოცდის დროს.

10.16. შუალედური შეფასების მიზანს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონის დადგენა წარმოადგენს, ხოლო საგანს პროფესიული ცოდნა, უნარები/კომპეტენციები, რომლის შინაარსიც ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ მოდულებს. შუალედური შეფასების თემატიკა მოიცავს შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს;

10.17. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამაზე სწავლების დაახლოებით შუა პერიოდში, კერძოდ, როცა პროფესიულ სტუდენტს გავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60% (მოგვიანებით მოდულების შესაბამისი კრედიტების მოცულობის არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%).

10.18. შუალედური შეფასების ფარგლებში გამოიყენება დიფერენცირებული (ქულობრივი) ან/და არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება;

10.19. შუალედური შეფასების ნებისმიერი ფორმით განხორციელებისას აუცილებელია პროფესიული სტუდენტის შეფასება წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემით. ასევე, განმავითარებელი შეფასება პირველ რიგში გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს - რა შეუძლია და რა უნდა გააუმჯობესოს სტუდენტმა. შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს კომპლექსური პრაქტიკული დავალების, დასრულებული ან მიმდინარე პროექტის ან პორტფოლიოს პრეზენტაციის სახით.

10.20. შუალედური შეფასება უნდა შეესაბამებოდეს პროფესიულ განათლებაში დადგენილი შეფასების სისტემის ზოგად მახასიათებლებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, მოქნილობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. შეფასების სისტემა სამ ელემენტს აერთიანებს: **შეფასების ინსტრუმენტი, შეფასების პროცესი და შეფასების მტკიცებულება.**

10.20.1 შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი ადეკვატურია იმ სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, რომელსაც ეფუძნება შუალედური შეფასება; ვალიდურობა არკვევს არის თუ არა შეფასება, მიზნის შესაბამისი - პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებული უნდა იქნას ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც პროფესიული სტუდენტისაგან გარკვეული სამუშაოს შესრულებას მოითხოვენ.

10.20.2. შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. სანდოობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტის ნაშრომით ან/და შეფასების კომისიის ჩანაწერების ფურცლით (ე.წ. ჩეკლისტი); სანდოობის პრინციპი დაცულია, თუ შეფასების შედეგები ერთნაირი იქნება სხვადასხვა შემფასებლის მიერ სტუდენტის შეფასებისას. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ერთნაირი შეფასების კრიტერიუმები.

10.20.3. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე, შუალედური შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია, წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

10.20.4. შეფასების სისტემა მოქნილია, თუ შეფასებისას გათვალისწინებულია შესაფასებელი პირის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა შესაძლო გარემოებები.

10.20.5. შეფასების სისტემა სამათლიანია, როდესაც ის დაფუძნებულია მკაფიოდ ჩამოყალიბებულ, სამართლიან, ამომწურავ და სტუდენტისათვის წინასწარ ცნობილ კრიტერიუმებსა და პროცედურებს. შესასრულებელი დავალების სირთულე, შეფასების სხვა პირობები, როგორიცაა გარემო, სადაც ხდება შეფასება, ამისათვის გამოყოფილი დრო, და სხვა ფაქტორები, რაც შესაფასებლის ფსიქოლოგიურ განწყობაზე შეიძლება მოქმედებდეს, ერთნაირი უნდა იყოს მონაწილესათვის.

10.20.6. შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ შეფასების პროცესის უმთავრეს პირობას მიუკერძოებლობა წარმოადგენს, რასაც უმეტეს წილად უზრუნველყოფს მრავალფეროვანი კომისია.

10.21. დაწესებულების მიერ დამტკიცებული შუალედური შეფასების კომისიაში უნდა შედიოდნენ დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების ან/და დარგის ექსპერტების ან/და განათლების ექსპერტების ან/და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლები. დუალური პროგრამების შემთხვევაში სავალდებულოა პარტნიორი სასწავლო საწარმოს/საწარმოების მონაწილეობა. დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ შესაბამის სექტორში ფუნქციონირებს დარგობრივი ასოციაცია, რომელსაც აქვს დაწესებულებასთან თანამშრომლობის მზაობა, ის ვალდებულია გასწიოს გონივრული ძალისხმევა დარგობრივი ასოციაციის შუალედური შეფასების პროცესში ჩასართავად.

10.22. შუალედური შეფასების შედეგების ასახვა კომისიის წევრების მიერ უნდა განხორციელდეს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ელექტრონული პლატფორმის გამართვამდე კი გადაწყვეტილების გაფორმება უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს:

10.22.1. შუალედური შეფასების კრიტერიუმებისა და შეფასების თარიღის შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების წესს;

10.22.2. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირების წესსა და ვადებს (სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით); ელექტრონული პლატფორმის გამართვამდე კი გადაწყვეტილების გაფორმება უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

10.22.3. განმეორებითი შეფასების წესსა და პირობებს (საპატიო მიზეზით შეფასებაზე გამოუცხადებლობა პირს უნდა აძლევდეს მისი ჩაბარების შესაძლებლობას.

10.23. შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სრულფასოვნად შევსებული და ინსტრუქტორის/ინსტრუქტორების მიერ დამოწმებული „პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი“ (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), შესაძლებელია ეს იყოს პორტფოლიო, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალსაც.

10.24. დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს თანამშრომლობას შუალედური შეფასების საკითხებთან, პროცედურებთან და შუალედური შეფასების სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით.

10.25. შუალედური შეფასების შედეგებთან დაკავშირებით განსაზღვრული უნდა იყოს დუალური პროგრამის ფარგლებში პარტნიორი სასწავლო საწარმოს ინფორმირების წესი და ვადები შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებების გატარების მიზნით.

10.26. პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება მაქსიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 11. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი

11.1. ვერიფიკაცია წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგების/მტკიცებულებების თავსებადობა–შესაბამისობისა და ავთენტურობის დადეგნის აღიარების მექანიზმს. ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების პროცესი რომელიც ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე და სამართლიანი. ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული – გადაწყვეტილებები–ზუსტი. ვერიფიკაცია არის ორგვარი: შიდა და გარე

11.2. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი , რომელიც შესაძლოა იყოს იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონდე ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან სხვა მასწავლებელი.

11.3. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე:

11.3.1 შეფასების პროცესამდე 10 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი შიდა ვერიფიკატორს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.

11.3.2. შიდა ვერიფიკატორი ახორციელებს შეფასების ისნტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას;

11.3.3. პროფესიული განათლების მასწავლების მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენიდან ორ სამუშაო დღეში ვალიდაციას აკეთებს შიდა ვერიფიკატორი (არაინსტრუმენტის ავტორი).

11.3.4. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ისნტრუმენტი რეკომენდაციებით, შენიშვნებით, მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია სამი სამუშაო დღის ვადაში შესწორებული სახით წარუდგინოს ხარისხის მართვის მენეჯერს;

11.3.5. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხელმოწერილი შეფასების ისნტრუმენტი გამოიყენება პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნით.

11.4. შიდა ვერიფიკაციის მეორე ეტაპზე, მოდულის დამთარებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა შიდა ვერიფიკატორი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების ავთენტურობას და კომპეტენციების დადასტურებისთვის საკმარისობას და შემოწმების შედეგებს წარმოადგენს ანგარიშის სახით.

მუხლი 12. მსმენელთა შეფასების წესი

12.1. მსმენელის მიერ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების მიზნით გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

12.2. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს მსმენელის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია მსმენელის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს , როგორც ქულების ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

12.3. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას. განსმაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

12.3.1. სწავლის შედეგი დადასტურდა

12.3.2. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

12.4.მსმენელის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება მსმენელის შეფასების უწყისით.

12.5. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურება პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამის დასრულებამდე არაუმეტეს ერთჯერ.

12.6. პროფესიული მომზადება/გადაზამდების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება სერტიფიკატითა და დანართით.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების პროცედურა

13.1. მიღებული შეფასების /შედეგის დადასტურების არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი /მსმენელი უფლებამოსილია ისარგებლოს მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების უფლბებით;

13.2. მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების მიზნით, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი წერილობითი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორის შეფასების /შედეგის დადასტურების გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში და ითხოვს მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გადასინჯვას;

13.3. პროფესიული სტუდენტის /მსმენელის მიერ მიღებული შეფასების/შედეგის დადასტრურების გასაჩივრებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს სტუდენტის ნაშრომის განხილვას პროფესიული მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტის /მსმენელის მონაწილეობით;

13.4. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შედეგის გაპროტესტების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება შეცვალოს (პროფესიული სტუდენტის /მსმენელის სასარგებლოდ) ან დატოვოს ძალაში, თუ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ წარმოდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუდასტურებელია.

13.5. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი /მსმენელი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მასთან და ხარსხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით შესაძლოა შემფასებლად გამოყოფილი იქნას კოლეჯის შესაბამის დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა შემთხვევაში , კოლეჯის დირექტორი უფლებამოსიალია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.

13.6.საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხარისხსი მართვის მენეჯერი/კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორს წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს პროფესიული სტუდენტის /მსმენელის შეფასების კორექტირების თაობაზე შესაბამის უწყისში.

13.7. კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერის/კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ მასალებს უგზვანის სასწავლო პროცესის მენეჯერს საჭირო ღონისძიებების გატარების მიზნით

მუხლი 14. კვალიფიკაციის მინიჭება

14.1. კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა მისი დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი.

14.2. პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები (ყველა ზოგადი სავალდებულო და პროფესიული სავალდებულო მოდულით განსაზღვრული კრედიტის მიღებით.)

14.3. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტს ენიჭება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომი. პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები (ყველა ზოგადი სავალდებულო და პროფესიული სავალდებულო მოდულებით განსაზრვრული კრედიტების მიღებით).

14.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50 % ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

14.5. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტით შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

14.5.1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებში მიღებული შედეგების საფუძველზე;

14.5.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებში მიღებული შედეგებისა და საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული შეფასების საფუძველზე;

14.6. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია თავის გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ასახავს ოქმში, რომელიც წარედგინება კოლეჯის დირექტორს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

მუხლი 15. კრედიტების მინიჭების ზოგადი წესი

15.1 კრედიტების მინიჭება ხორციელდება სამ ეტაპად:

ა) კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტების მინიმალური მოცულობის განსაზღვრა;

ბ) სწავლის შედეგების მოცულობის განსაზღვრა კრედიტებში;

გ) მოდულისთვის კრედიტების ჯამური მოცულობის განსაზღვრა.

15.2 კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული კვალიფიკაციის დონისა და პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით.

15.3 ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ფორმალური განათლების ფარგლებში სრული სასწავლო დატვირთვის პირობებში მიღწევადი სწავლის შედეგების ერთობლიობა შეადგენს 60 კრედიტს. სრული სასწავლო დატვირთვა გულისხმობს პირის მიერ ერთი კალენდარული წლის მანძილზე 1500 – 1800 (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) საათიან დატვირთვას.

15.4 სწავლის შედეგის მოცულობა კრედიტებში არის რიცხვითი გამოსახულება, რომელიც სწავლის შედეგს ენიჭება კონკრეტული კვალიფიკაციის მიზნებიდან გამომდინარე მისი მნიშვნელოვნების გათვალისწინებით.

15.5 სწავლის შედეგის მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) სწავლის შედეგის მნიშვნელოვნება პირისთვის შრომის ბაზარზე გასვლის ან სოციალური ინტეგრაციისთვის;

ბ) სწავლის შედეგის სირთულე, მასშტაბურობა და კომპლექსურობა;

გ) პირის მიერ სწავლის შედეგის მისაღწევად გასაწევი ძალისხმევა.

15.6 მოდულის კრედიტი წარმოადგენს მასში შემავალი სწავლის შედეგების კრედიტების ჯამს.

15.7 დასაშვებია სხვადასხვა კვალიფიკაციის ფარგლებში ერთიდაიმავე სწავლის შედეგისათვის კრედიტების განსხვავებული მოცულობის მინიჭება.

15.8 კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგია განისაზღვრება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 16. პირისთვის კრედიტის მინიჭების წესი

16.1 პირს კრედიტი ენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
16.2 სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია როგორც ფორმალური განათლების, ისე არაფორმალური განათლების მიღების გზით.
16.3 სწავლის შედეგის დადასტურება ხორციელდება:
ა) სწავლის შედეგის შეფასებით;
ბ) სწავლის შედეგის აღიარებით.
16.4 ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება ხორციელდება შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული წესით.
16.5 არაფორმალური განათლებისა და ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. კრედიტების გადატანა (ტრანსფერი)

17.1 კრედიტების გადატანის (ტრანსფერის) მიზანია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს პირისთვის სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას.
17.2 კრედიტების გადატანა (ტრანსფერი) ხორციელდება პირის მიერ ფორმალური განათლებისა ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების გზით.
17.3 სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში კრედიტების გადატანა (ტრანსფერი) ხორციელდება იმ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
17.4 კრედიტების გადატანას (ტრანსფერს) ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებაზე უფლებამოსილი დაწესებულება.

მუხლი 18. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზანი

ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში –ფორმალური განათლების აღიარება) მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

მუხლი 19. ფორმალური განათლების აღიარების საფუძველი

19.1 ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს კოლეჯი ამ წესით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე.
19.2 ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:
ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;
ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
19.3 ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის
2022 წლის 11/11 №02/54 ბრძანებით

მუხლი 20. ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები და ვადა

20.1 ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან.

20.2 ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კოლეჯისათვის განცხადების წარდგენა;

ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;

გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

დ) კოლეჯის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

20.3 კოლეჯის ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

მუხლი 21. განცხადების წარდგენა

21.1 განმცხადებლის მიერ კოლეჯისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კოლეჯის დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

21.2 ამ მუხლის 21.1 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის 21.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

21.3 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის 21.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

21.4 კოლეჯი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის 21.2 პუნქტის „გ“ ქვეპუქნტითა და 21.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე კოლეჯის მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

21.5 კოლეჯი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

21.6 კოლეჯის მიერ ამ მუხლის 21.5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

21.7 თუ კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, კოლეჯი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

მუხლი 22. კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება

22.1 განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ კოლეჯის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.
22.2 კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან. კოლეჯი ვალდებულია კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირის მონაწილეობა. კოლეჯს უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.
22.3 კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
22.4 კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
22.5 კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
22.6 კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
22.7 კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
22.8 კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ წესის მე-19 მუხლის 19.1 პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

მუხლი 23. გადაწყვეტილების მიღება

23.1 კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
23.2 განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
23.3 კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.
23.4 კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) დაწესებულების დასახელება;
ბ) განმცხადებლის ვინაობა;
გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
23.5 კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ დირექტორის
2022 წლის 11/11 №02/54 ბრძანებით

მუხლი 24. ფორმალური განათლების აღიარების შედეგების განთავსება მართვის საინფორმაციო სისტემაში

ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 25. სასწავლო პროცესის ორგანიზება

25.1 კოლეჯში ლექიცები პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამსად შედგენილი ცხრილით.
25.2 პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში.
25.3 სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით და სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება დაიტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.
25.4 სალექციო პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელსაც ითანხმებს კოლეჯის დირექტორის მოადგილე და ბეჭედით ამოწმებს კოლეჯის დირექტორი.
25.5 კოლეჯში დაწესებულია ხუთ დღიანი სასწავლო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შაბათი და კვირა, როგორც სასწავლო დღე.
25.6 პროფესიულ სტუდენთა დასწრების აღრიცხვის მიზნით კოლეჯში მოქმედებს აღრიცხვიანობისა და შეფასების ელექტრონული ჟურნალი. ჟურნალის (ელექტრონული) მეთვალყურეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება კოლეჯის შესაბამის პასუხისმგებელ თანამშრომელს (სასწავლო პროცესის მენეჯერს). პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა), პროფესიული სტუდენტის საწარმოში გამოცხადება დასტურდება პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალით.
25.7 პროფესიულ სტუდენტთა სწავლისა და დასვენების დრო განისაზღვრება ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილით.
25.8 ერთი და იმავე პროფესული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურ ჯგუფებში პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მკვეთრი შემცირების შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტთა თანხმობის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება ჯგუფების გაერთიანების შესახებ.
25.9 პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (დატვირთვა) მოიცავს 8 საკონტაქტო საათს. (აკადემიური საათი - 50 წუთი), რომელთა შორის შესვენება 10 წუთია.
25.10 პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონის „ საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში.
25.11 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კოლეჯის შემდეგ მისამართზე: ქ. მესტია, ე. ფარჯიანის ქ.N25 სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს იმავე ან სხვა ადგილას.

მუხლი 26. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

26.1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდაულურ გზებს;
26.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება შესაძლებელია დადგეს თუ:

26.2.1 სსსმ ან/და შშმ პირი ვერ ადასტურებს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს ;

26.2.2. მობილობით გადმოსულ პირს დადასტურებული აქვს განსხვავებული სწავლის შედეგები;

26.2.3. პირს შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

26.2.4. პირი დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

26.2.5. განხორციელდა პროგრამის შეცვლა / გაუქმება და საჭირო პროფესიული სტუდენტებისთვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე;

26.3 იმ შემთხვევაში თუ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა რომ სსსმ ან/და შშმ პირი ვერ ადასტურებს შესაბამისი პროგრამით გათვალისიწნებულ სწავლის შედეგებს, კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ხუთი სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს შესათანხმებლად ;

26.4 თუ მობილობით გადმოსულ პირს დადასტურებული აქვს განსხვავებული სწავლის შედეგები, ხარისხის მართვის მენეჯერი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროების დადგენა თითოეული მოდულის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შესახებ მარეგულირებელი მუხლის პროცედურების დაცვით;

26.5 იმ შემთხვევაში თუ პირს შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას ხარისხის მართვის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ცხრილს/ გამოცდის ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის საჭიროების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების / მოდულების წინაპირობების დაცვით;

26.6 თუ პირი დაგვიანებით შეურთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს ჩართვას, სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე ტარდება დამატებითი მეცადინეობები ან/და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ პროფესიულ მასწავლებელთან ერთად სტუდენტისთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მოდულების თემატიკის შედეგების დაძლევის და სწავლის შედეგების მიღწევის გათვალისწინებით.

26.7 პროგრამის შეცვლის/გაუქმებისშემთხვევაში, როდესაც საჭიროა პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებაშეცვლილ/მონათესავე/სხვაპროგრამაზე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია პროფესიული სტუდენტის მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისა და შესაბამისი კრედიტების მინიჭების მიზნით.

მუხლი 27. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექნიზმი

27.1 კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

27.2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონდე პირის ასისტენტის და კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლის მეშვეობით. საჭირეობის შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდაჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

მუხლი 28. სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებლი მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენება.

28.1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის გათვალისწინებით, კოლეჯის შესაბამისი თანამშრომელი, მოდულის განმახორციელებელი პირის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას, როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მოდულის მიმდინარეობისას.

28.2 კოლეჯი მასალებისა და ნედლეულის შეძენას არ ახორციელებს იმ მოდულის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე.

28.3 მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა მათი გამოყენების მომენტისთვის.

28.4 კოლეჯში შემოტანილი შეძენილი მასალისა და ნედლეულის ხარისხი, ვარგისიანობა და რაოდენობა მოწმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით. შექმნილი მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის მიერ. შემოწმებისას დგება ინსპექტირების აქტი.

28.5 მიღებული მასალა და ნედლეულის მიღება–ჩაბარების აქტით გადაეცემა შესაბამის პასუხისმგებელ პირს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი მასალებისა და ნედლეულის გადაცემას.

28.6 მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შესაბამის ინსტრუქციაში მითითებული შენახვის წესების დაცვით.

მუხლი 29. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვა და განკარგვა

29.1 სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი სასწავლო პროდუქტი წარმოადგენს შესაბამის მტკიცებულებას და ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე –10 მუხლის მე –11 პუნქტით განსაზღვრული ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან ხდება მისი კოლეჯის ბალანსზე აყვანა.

29.2 სასწავლო პროცესში შექმნილი ნაწარმის კოლეჯის ბალანსზე აყვანის მიზნით მასზე გახარჯული მასალის კალკულაციის მიხედვით მოხდება თვითღირებულების გაანგარიშება.

მუხლი 30. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

30.1 სასწავლო მიზნებისთვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტლიზიაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში სხვა შემთხვევაში უტილიზაცია ხორციელდება იმდაგვარდ რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს;

30.2 კოლეჯის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება ხდება სპეციალურად განთავსებულ სანაგვე კონტეინერებში;

30.3 სახიფათო ნარჩენები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დროებით ინახება კოლეჯის ტერიტორიაზე და შემდეგ ხდება წესების დაცვით უტლიზიაცია.

30.4 უსაფრთხო ნარჩენები შეიძლება ჩაიყაროს მინუციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნულ კონტეინერში.

30.5 ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯს .